

**ჰააგის შეთანხმება დიზაინების
საერთაშორისო დეკონირების შესახებ**

**1967 წლის 14 ივლისის სტოკჰოლმის შემავსებელი აქტი,
1979 წლის 28 სექტემბრის ცვლილებებით**

**მუხლი 1
განსაზღვრებანი**

ამ შემავსებელი აქტის მიზნებისათვის:

“1934 აქტი” ნიშნავს დიზაინების საერთაშორისო დეკონირების შესახებ ჰააგის შეთანხმების 1934 წლის 2 ივნისის ლონდონში ხელმოწერილ აქტს;
“1960 აქტი” ნიშნავს დიზაინების საერთაშორისო დეკონირების შესახებ ჰააგის შეთანხმების 1960 წლის 28 ნოემბერს ჰააგაში ხელმოწერილ აქტს;
“1961 დამატებითი აქტი” ნიშნავს 1961 წლის 18 ნოემბერს მონაკოში ხელმოწერილ 1934 წლის აქტის დამატებით აქტს;
“ორგანიზაცია” ნიშნავს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას;
“საერთაშორისო ბიურო” ნიშნავს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბიუროს;
“გენერალური დირექტორი” ნიშნავს ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს;
“სპეციალური კავშირი” ნიშნავს ჰააგის კავშირს, დაფუძნებულს 1925 წლის 6 ნოემბრის ჰააგის შეთანხმებით დიზაინების საერთაშორისო დეკონირების შესახებ, რომელიც შენარჩუნებულია 1934 და 1960 წლის აქტებით, 1961 წლის დამატებითი აქტით და ამ დამატებითი აქტით.

**მუხლი 2
ასამბლეა**

(1)

(a) სპეციალურ კავშირს აქვს იმ ქვეყნებისაგან შემდგარი ასამბლეა, რომლებმაც რატიფიცირება გაუკეთეს ან მიუერთდნენ ამ შემავსებელ აქტს.

(b) ყოველი ქვეყნის მთავრობა უნდა იყოს წარმოდგენილი ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ახლდეს დამხმარე დელეგატები, მრჩეველები და სპეციალისტები.

(c) ყოველი დელეგაციის ხარჯებს გაიღებს ის მთავრობა, რომელმაც დანიშნა იგი.

(2)

(a) ასამბლეა:

(i) ახორციელებს ყველანაირ საქმიანობას, რომელიც ეხება სპეციალური კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებას, აგრეთვე ამ შეთანხმების შესრულებას;

(ii) აძლევს მითითებებს საერთაშორისო ბიუროს გადასინჯვის კონფერენციების მოწყობასთან დაკავშირებით, ამასთან, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს სპეციალური კავშირის იმ ქვეყნების შენიშვნებს, რომლებმაც არ გააკეთეს რატიფიცირება ან არ მიუერთდნენ ამ შემაჯავებელ აქტს;

(iii) ხვეწს ინსტრუქციას, დიზაინების დეპონირებასთან დაკავშირებული საფასურების ოდენობის დადგენის ჩათვლით;

(iv) იხილავს და ამტკიცებს სპეციალურ კავშირთან დაკავშირებული გენერალური დირექტორის პატაკებსა და საქმიანობას და აძლევს ყველა საჭირო მითითებას სპეციალური კავშირის უფლებამოსილებას დაქვემდებარებული საქმიანობის ირგვლივ;

(v) შეიმუშავებს პროგრამას და ღებულობს სპეციალური კავშირის ორწლიან ბიუჯეტს და ამტკიცებს მის საბოლოო ანგარიშს;

(vi) ამტკიცებს სპეციალური კავშირის ფინანსურ ინსტრუქციას;

(vii) აფუძნებს იმ სპეციალისტთა ისეთ კომიტეტებსა და სამუშაო ჯგუფებს, რომლებსაც ის მიიჩნევს საჭიროდ სპეციალური კავშირის მიზნების მისაღწევად;

(viii) ადგენს ქვეყნებს, რომლებიც სპეციალური კავშირის წევრები არ არიან და სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც შეიძლება დაიშვას მის შეხვედრებზე დამკვირვებლებად;

(ix) ღებულობს მე-2 - მე-5 მუხლების ცვლილებებს;

(x) ეწევა სხვა სათანადო საქმიანობას, მიმართულს სპეციალური კავშირის მიზნების დახვეწასა და მიღწევისაკენ;

(xi) ასრულებს ამ შემაჯავებელი აქტის შესაბამის სხვა საქმიანობას;

(b) იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც აგრეთვე შედის ორგანიზაციის მიერ მართვადი სხვა კავშირების ინტერესებში, ასამბლეა ღებულობს გადაწყვეტილებებს მას შემდეგ, რაც მოისმენს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევას.

(3)

(a) ასამბლეის წევრ ყოველ ქვეყანას აქვს ერთი ხმა;

(b) ასამბლეის წევრი ქვეყნების ნახევარი შეადგენს კვორუმს;

(c) მიუხედავად (b) ქვეპუნქტისა, თუ, ნებისმიერი სესიის დროს, წარმოდგენილი ქვეყნების რაოდენობა ნახევარზე ნაკლებია, მაგრამ უდრის ან აღემატება ასამბლეის წევრი ქვეყნების რაოდენობის ერთ მესამედს, ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები, მაგრამ საკუთრივ მისი პროცედურების გამოკლებით, ყველა ასეთი გადაწყვეტილება ძალაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც შესრულდება ქვემოთ მოცემული პირობები. საერთაშორისო ბიურო უგზავნის აღნიშნულ გადაწყვეტილებებს ასამბლეის წევრ ქვეყნებს, რომლებიც არ ესწრებოდნენ და სთხოვს მათ წერილობით მისცენ ხმა ან აცნობონ თავშეკავება, შეტყობინებიდან 3 თვეში. თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ ამ გზით ხმის მიცემი ან თავშეკავების მაცნობებელი ქვეყნების რაოდენობა მიაღწევს ქვეყანათა იმ რაოდენობას,

რომელიც აკლდა თავად სესიაზე დამსწრე ქვეყნების კვორუმს, მაშინ ასეთი გადაწყვეტილებები ძალაში შედის, თუ, იმავდროულად, საჭირო უმრავლესობა კვლავ სახეზეა;

(d) მე-5(2) მუხლის გათვალისწინებით, ასამბლეის გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა მიცემული ხმათა რაოდენობის ორი მესამედი;

(e) თავშეკავება ხმის მიცემად არ ითვლება;

(f) დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს და ხმა მისცეს მხოლოდ ერთი ქვეყნის სახელით;

(g) სპეციალური კავშირის ქვეყნები, რომლებიც არ არიან ასამბლეის წევრები მის შეხვედრებზე დაიშვებიან დამკვირვებლებად.

(4)

(a) ასამბლეა, ჩვეულებრივ, სესიებზე შეხვედრებს მართავს ერთხელ ყოველ მეორე კალენდარულ წელს გენერალური დირექტორის მოწვევით და, თუ არ არსებობს განსაკუთრებული ვითარება, იმავე პერიოდში, იმავე ადგილას, სადაც იმართება ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა;

(b) ასამბლეა ჩვეულებრივიგან განსხვავებულ სესიებზე შეხვედრას მართავს გენერალური დირექტორის მოწვევით, ასამბლეის წევრი ქვეყნების ერთი მეოთხედის მოთხოვნით;

(c) ყოველი სესიის დღის წესრიგს ადგენს გენერალური დირექტორი.

(5) ასამბლეა ამტკიცებს საკუთარ პროცედურულ წესებს.

მუხლი 3

საერთაშორისო ბიურო

(1)

(a) დიზაინების საერთაშორისო დეპონირებას და მასთან დაკავშირებულ მოვალეობებს, ისევე, როგორც სპეციალურ კავშირთან დაკავშირებულ სხვა ადმინისტრაციულ ამოცანებს ახორციელებს საერთაშორისო ბიურო.

(b) კერძოდ, საერთაშორისო ბიურო ამზადებს შეხვედრებს და ასრულებს ასამბლეის სეკრეტარიატის, აგრეთვე, სპეციალისტების იმ კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფის ამოცანებს, რომლებიც შეიძლება დააფუძნოს ასამბლეამ.

(c) გენერალური დირექტორი სპეციალური კავშირის ხელმძღვანელია და წარმოადგენს მას.

(2) გენერალური დირექტორი და მის მიერ დასახელებული ნებისმიერი თანამდებობრივი პირი ხმის მიცემის გარეშე მონაწილეობს ასამბლეის ყველა შეხვედრაზე და სპეციალისტების იმ კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფის სხდომებზე, რომლებიც შეიძლება დააფუძნოს ასამბლეამ. გენერალური დირექტორი და მის მიერ დასახელებული თანამდებობრივი პირი არის აღნიშნული ორგანოების მდივანი, ex officio.

(3)

(a) ასამბლეის მითითებების მიხედვით საერთაშორისო ბიურო ამზადებს ამ შეთანხმების პირობების გადასინჯვის კონფერენციებს;

(b) საერთაშორისო ბიუროს შეუძლია მოეთათბიროს სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასახელმწიფო ორგანიზაციებს, გადასინჯვის კონფერენციებთან დაკავშირებით;

(c) გენერალური დირექტორი და მის მიერ დასახელებული პირები ხმის მიცემის გარეშე მონაწილეობენ ასეთ კონფერენციაზე მიმდინარე განსჯებში;

(4) საერთაშორისო ბიურო ასრულებს მასზე დაკისრებულ ნებისმიერ სხვა საქმიანობას.

მუხლი 4 ფინანსები

(1)

(a) სპეციალურ კავშირს აქვს ბიუჯეტი;

(b) სპეციალური კავშირის ბიუჯეტი მოიცავს შემოსავლებს და მის მიერ გაწეულ ხარჯებს, მის შენატანებს კავშირების საერთო ხარჯთა ბიუჯეტში და, თუ საქმე მოითხოვს, ორგანიზაციის კონფერენციისათვის გამოყოფილ თანხაში;

(c) ხარჯები, რომლებიც არ არის განკუთვნილი საკუთრივ სპეციალური კავშირისათვის, აგრეთვე, ორგანიზაციის მიერ მართვადი ერთი ან მეტი სხვა კავშირისათვის, განიხილება კავშირების საერთო ხარჯებად. სპეციალური კავშირის წილი ამ საერთო ხარჯებში უნდა იყოს მათში ამ სპეციალური კავშირის ინტერესის თანადი;

(2) სპეციალური კავშირის ბიუჯეტი დგინდება ორგანიზაციის მიერ მართვადი სხვა კავშირების ბიუჯეტებთან კოორდინაციის მოთხოვნებისადმი სათანადო ყურადღების მიქცევით.

(3) სპეციალური კავშირის ბიუჯეტი ფინანსდება შემდეგი წყაროებიდან:

(i) საერთაშორისო დეპონირების საფასურებიდან და საერთაშორისო ბიუროს მიერ სპეციალური კავშირისათვის გაწეული სხვა მომსახურების გადასახადებისაგან;

(ii) საერთაშორისო ბიუროს სპეციალურ კავშირთან დაკავშირებული გამოცემების გაყიდვის ან როიალტებისაგან;

(iii) საჩუქრებისაგან, ნებაყოფლობით გადაცემული ქონებისა და სუბსიდიებისაგან;

(iv) სარენტო, წილობრივი და სხვაგვარი შემოსავლებისაგან.

(4)

(a) მე-3(1) პუნქტით მითითებული საფასურების ოდენობა განისაზღვრება ასამბლეის მიერ, გენერალური დირექტორის შეთავაზების მიხედვით;

(b) ასეთი საფასურების ოდენობა დგინდება იმ ანგარიშით, რომ სპეციალური კავშირის შემოსავლები საფასურებიდან და სხვა წყაროებიდან საკმარისი უნდა იყოს სპეციალურ კავშირთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად მანც;

(c) თუ ახალ საფინანსო პერიოდამდე ბიუჯეტი ჯერ კიდევ მიღებული არ არის, ის უნდა იყოს წინა წლის ბიუჯეტის დონისა, როგორც ეს ფინანსური ინსტრუქციით არის გათვალისწინებული.

(5)

4(a) პუნქტის გათვალისწინებით სპეციალურ კავშირთან დაკავშირებით საერთაშორისო ბიუროს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურებისა და გადასახადების ოდენობა დგინდება და ეცნობება ასამბლეას გენერალური დირექტორის მიერ.

(6)

(a) სპეციალურ კავშირს აქვს სამუშაო კაპიტალის ფონდი, რომელიც შედგება ჭარბი შემოსავლებისაგან და, თუ ასეთი ჭარბი შემოსავალი არ კმარა, სპეციალური კავშირის ქვეყნების მიერ გადახდილი საერთო შენატანებისაგან. თუ ფონდი ხდება ისეთი, რომ საკმარისი არ არის, ასამბლეა ღებულობს მისი გაზრდის გადაწყვეტილებას;

(b) აღნიშნულ ფონდში გადასარიცხი ყოველი ქვეყნის საწყისი გადასახადის ოდენობა ან მისი წილი ფონდის გაზრდაში სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კავშირის ფონდში ამ ქვეყნის საწევრო იმ დროის წლიური შენატანის ოდენობის პროპორციულია, როდესაც აღნიშნული ფონდი შეიქმნა ან, როდესაც მისი გაზრდის გადაწყვეტილება იყო მიღებული;

(c) გადასახადის პროპორცია და პირობები დგინდება ასამბლეის მიერ გენერალური დირექტორის შეთავაზების მიხედვით და მას შემდეგ, რაც ასამბლეა განიხილავს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის რჩევას.

(7)

(a) იმ ქვეყანასთან დადებულ შეთანხმებაში შტაბბინის შესახებ, რომლის ტერიტორიაზეც ორგანიზაციას აქვს შტაბბინა, უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ, როცა სამუშაო კაპიტალის ფონდი არ კმარა, ამ ქვეყანამ უნდა გასცეს ავანსი. ასეთი ავანსის ოდენობა და მისი გაცემის პირობები, ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ქვეყანასა და ორგანიზაციას შორის ცალკე შეთანხმების საგანია;

(b) ქვეპუნქტში (a) მითითებულ ქვეყანასაც და ორგანიზაციასაც აქვთ უფლება უარი თქვან ავანსის გაცემის ვალდებულებაზე, წერილობითი შეტყობინების გზით. უარი ძალაში შედის სამი წლის გასვლის შემდეგ იმ წლის დასრულებიდან, როდესაც გაკეთდა შეტყობინება.

(8) ანგარიშების აუდიტი ტარდება სპეციალური კავშირის ერთი ან მეტი ქვეყნის მიერ ან გარე აუდიტორის მიერ, საფინანსო ინსტრუქციის შესაბამისად. მათ ასახელებს ასამბლეა, შეთანხმების მიხედვით.

მუხლი 5 მუხლების 2-5 ცვლილებები

(1) ამ აქტის ცვლილების წინადადება შეიძლება იყოს შემოთავაზებული ასამბლეის წევრი ნებისმიერი ქვეყნის მიერ, ან გენერალური დირექტორის მიერ. ასამბლეაზე განხილვამდე ამ წინადადებებს გენერალური დირექტორი აცნობებს ასამბლეის წევრ ქვეყნებს, სულ მცირე ექვსი თვით ადრე.

(2) პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილებები უნდა დამტკიცდეს ასამბლეაზე. დამტკიცებას სჭირდება მიცემული ხმების სამი მეოთხედი, ამასთან, მე-2 მუხლის და ამ პუნქტის ნებისმიერი ცვლილებისათვის საჭიროა მიცემული ხმების ოთხი მეხუთედი.

(3) პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი ცვლილება ძალაში შედის კონსტიტუციური პროცედურების დაცვით მიღების შესახებ წერილობითი შეტყობინებების დღიდან ერთი თვის შემდეგ, თუ გენერალურმა დირექტორმა ის მიიღო ასამბლეის წევრი ქვეყნების სამი მეოთხედისაგან, ასამბლეის მიერ დამტკიცებამდე. ამ წესით დამტკიცებული ნებისმიერი ცვლილება ბოჭავს ცვლილების ძალაში შესვლის დროს ასამბლეის წევრ ან შემდგომ გაწევრიანებულ ყველა ქვეყანას.

მუხლი 6 1934 წლის აქტისა და 1961 წლის დამატებითი აქტის ცვლილება

(1)

(a) 1934 წლის აქტის მითითებები “სამრეწველო საკუთრების ბერნის საერთაშორისო ბიუროზე”, “ბერნის საერთაშორისო ბიუროზე” ან “საერთაშორისო ბიურო” გაიგება ამ შემავსებელი აქტის პირველი მუხლით განსაზღვრულ “საერთაშორისო ბიუროზე” მითითებად.

(b) 1934 წლის აქტის მე-15 მუხლი გაუქმებულია.

(c) 1934 წლის აქტის მე-20 მუხლით მითითებული ინსტრუქციის ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება მე-2(2)(a)(iii) და მე-2(3)(d) მუხლებით დადგენილი წესით.

(d) 1934 წლის აქტის 21-ე მუხლში სიტყვები “1928 წელს გადასინჯული” იცვლება სიტყვებით “ლიტერატურული და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის”.

(e) 1934 წლის აქტის 22-ე მუხლის მითითებები “გენერალური კონვენციის” მე-16, მე-16^{bis} და 17^{bis} მუხლებზე გაიგება სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის სტოკჰოლმის აქტზე მითითებებად, რაც აღნიშნულ სტოკჰოლმის აქტში ეთანადება პარიზის კონვენციის აღრიხილი აქტების მე-16, მე-16^{bis} და 17^{bis} მუხლებს.

(2)

(a) 1961 წლის დამატებითი აქტის მე-3 მუხლით მითითებული საფასურების ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება მე-2(2)(a)(iii) და მე-2(3)(d) მუხლებით დადგენილი წესით.

(b) 1961 წლის დამატებითი აქტის მე-4(1) მუხლი და სიტყვები “ როდესაც სარეზერვო ფონდმა მიაღწია ამ თანხას” მე-4(2) მუხლიდან ამოღებულია.

(c) 1961 წლის დამატებითი აქტის მე-6(2) მუხლის მითითებები სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მე-16 და მე-16^{bis} მუხლებზე გაიგება აღნიშნული კონვენციის სტოკჰოლმის აქტის იმ ნორმებზე მითითებებად, რომლებიც ეთანადება პარიზის კონვენციის ადრინდელი აქტების მე-16 და მე-16^{bis} მუხლებს.

(d) 1961 წლის დამატებითი აქტის მე-7(1) და მე-7(3) პუნქტებით მითითებები შვეიცარიის კონფედერაციის მთავრობაზე გაიგება გენერალურ დირექტორზე მითითებებად.

მუხლი 7

1960 წლის აქტის ცვლილება

(1) 1960 წლის აქტის მითითებები “სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კავშირის ბიუროზე” ან “საერთაშორისო ბიუროზე” გაიგება ამ შემავსებელი აქტის პირველი მუხლით განსაზღვრულ საერთაშორისო ბიუროზე.

(2) 1960 წლის აქტის მუხლები 19, 20, 21 და 22 გაუქმებულია.

(3) 1960 წლის აქტის მითითებები შვეიცარიის კონფედერაციის მთავრობაზე გაიგება გენერალურ დირექტორზე მითითებებად.

(4) 1960 წლის აქტის 29-ე მუხლში სიტყვები “პერიოდული” (პუნქტი 29(1)) და “საერთაშორისო დიზაინების კომიტეტი ან” (პუნქტი 29(2)) ამოღებულია.

მუხლი 8

რატიფიცირება და მიერთება შემავსებელი აქტისადმი

(1)

(a) ქვეყნები, რომლებმაც 1968 წლის 13 იანვრამდე გააკეთეს 1934 ან 1960 წლის აქტების რატიფიცირება, აგრეთვე ქვეყნები, რომლებიც მიუერთდნენ აღნიშნულ აქტებიდან ერთს მაინც უფლებამოსილნი არიან ხელი მოაწერონ ამ დამატებით აქტს და გაუკეთონ მას რატიფიცირება ან მიუერთდნენ მას.

(b) რატიფიცირება ან მიერთება ამ დამატებითი აქტისადმი იმ ქვეყნის მიერ, რომელიც შებოჭილია 1934 წლის აქტით, 1961 წლის დამატებითი აქტის მასზე მოქმედების გავრცელების გარეშე თავისთავად იწვევს 1961 წლის დამატებითი აქტის რატიფიცირებას ან მისდამი მიერთებას.

(2) რატიფიცირებისა და მიერთების საბუთები ბარდება გენერალურ დირექტორთან.

მუხლი 9
შემავსებელი აქტის ძალაში შესვლა

(1) პირველი ხუთი ქვეყნის მიმართ, რომლებმაც ჩააბარეს რატიფიცირების ან მიერთების საბუთები, ეს შემავსებელი აქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ რატიფიცირების ან მიერთების მეხუთე საბუთის ჩაბარების შემდეგ.

(2) ნებისმიერი სხვა ქვეყნის მიმართ ეს შემავსებელი აქტი ძალაში შედის ასეთი ქვეყნის მიერ რატიფიცირების ან მიერთების შესახებ გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების გაკეთებიდან სამი თვის შემდეგ, თუ რატიფიცირების ან მიერთების საბუთებში სხვა თარიღი არ იქნება მითითებული. ასეთ შემთხვევაში ეს შემავსებელი აქტი ძალაში შედის შესაბამისი ასეთი ქვეყნის მიერ ამგვარად მითითებული თარიღიდან.

მუხლი 10
ზოგიერთი ნორმის ავტომატური მიღება ზოგიერთი ქვეყნის მიერ

(1) მე-8 მუხლისა და მომდევნო პუნქტის გათვალისწინებით ნებისმიერი ქვეყანა, რომელმაც არც რატიფიცირება გააკეთა და არც მიერთებულა 1934 წლის აქტისადმი, ხდება შებოჭილი 1961 წლის დამატებითი აქტით და ამ შემავსებელი აქტის პირველი – მე-6 მუხლებით იმ თარიღიდან, რომლიდანაც მისი მიერთება 1934 წლის აქტისადმი შედის ძალაში, თუკი ამ თარიღისათვის მე-9(1) მუხლის მიხედვით ეს შემავსებელი აქტი ჯერ კიდევ ძალაში შესული არ არის, მაშინ ასეთი ქვეყანა ხდება შებოჭილი ამ შემავსებელი აქტის აღნიშნული მუხლებით მხოლოდ მე-9(1) მუხლის მიხედვით ამ შემავსებელი აქტის ძალაში შესვლის თარიღიდან.

(2) მე-8 მუხლისა და მომდევნო პუნქტის გათვალისწინებით ნებისმიერი ქვეყანა, რომელმაც არც რატიფიცირება გააკეთა და არც მიერთებულა 1960 წლის აქტისადმი, ხდება შებოჭილი ამ შემავსებელი აქტის პირველი - მე-7 მუხლებით იმ თარიღიდან, რომლიდანაც მისი მიერთება 1960 წლის აქტისადმი შედის ძალაში, თუკი ამ თარიღისათვის მე-9(1) მუხლის მიხედვით ეს შემავსებელი აქტი ჯერ კიდევ ძალაში შესული არ არის, მაშინ ასეთი ქვეყანა ხდება შებოჭილი ამ შემავსებელი აქტის აღნიშნული მუხლებით მხოლოდ მე-9(1) მუხლის მიხედვით ამ შემავსებელი აქტის ძალაში შესვლის თარიღიდან.

მუხლი 11
შემავსებელი აქტის ხელმოწერა და სხვა

(1)

(a) ამ შემავსებელი აქტის ხელმოწერა ხდება ერთ ფრანგულ ენაზე შედგენილ ეგზემპლარზე და ბარდება შვეიცარიის მთავრობას.

(b) ოფიციალურ ტექსტებს დაადგენს გენერალური დირექტორი დაინტერესებულ მთავრობებთან მოთათბირების შემდეგ, იმ სხვა ენებზე, რომლებიც შეიძლება დაასახელოს ასამბლეამ.

(2) ეს შემავსებელი აქტი ხელმოწერისათვის ღიაა სტოკჰოლმში 1968 წლის 13 იანვრამდე.

(3) გენერალური დირექტორი, ამ შემავსებელი აქტის ხელმოწერილი ტექსტის ორ ასლს, დამოწმებულს შვეიცარიის მთავრობის მიერ უგზავნის სპეციალური კავშირის ყველა ქვეყნის მთავრობას და, მოთხოვნის მიხედვით, ნებისმიერი სხვა ქვეყნის მთავრობას.

(4) გენერალური დირექტორი ამ შემავსებელ აქტს არეგისტრირებს გაერთიანებული ერების სამდივნოში.

(5) გენერალური დირექტორი ატყობინებს სპეციალური კავშირის ყველა ქვეყნის მთავრობას ხელმოწერის, რატიფიცირების ან მიერთების საბუთების ჩაბარებისა და ძალაში შესვლისა შესახებ, აგრეთვე, აკეთებს სხვა შესაბამის შეტყობინებს.

მუხლი 12 **გარდამავალი დებულებები**

სანამ გენერალური დირექტორი თანამდებობას დაიკავებს, ამ შემავსებელი აქტის მითითებები ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროზე ან გენერალურ დირექტორზე გაიგება მითითებებად ბიუროზე სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციით დაფუძნებული კავშირის ბიუროზე ან მის დირექტორზე, შესაბამისად.